ირაკლი ბოჭორიშვილმა 1995 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის მონუმენტური ფერწერის ფაკულტეტი. შემოქმედებითი ძიების პროცესში, იქმნებოდა საინტერესო, თვითმყოფადი დიზაინერული ესკიზები და მათ განსახორციელებლად, 1998 წელს, მხატვარმა ქართუისანის ფესხაცმელების ფაბრიკაში შეისწავლა ფესხაცმლის დამზადების ტექნოლოგია. აქედან დაიწყო მისი დიზაინერული იდეების განხორციელება, თავდაპირველად - სახელსნოში „სანდალი“. 2007 წელს, კი ირაკლის თაოსნობით დაფუძნდა სახელსნო SHOESOPRENIA. აქედან მოყოლებული, მხატვარი ქმნის ფესხაცმელების და სხვადასხვა აქსესუარების არაჩვეულებრივ კოლექციებს. მისი დიზაინი საქართველოში პირველი ბრენდია, გრიფით - HAND MADE IN GEORGIA.

შქონდა ორი პერსონალური გამოფენა. მათ მაღალი შეფასება და სათანადო გამომსაურება მოჰყვა.

ირაკლი ბოჭორიშვილს მჭიდრო შემოქმედებითი თანამშრომლობა აქვს ისეთ ცნობილ დიზაინერებთან, როგორებიც არიან, ნინო ჩუბინიშვილი (ჩუბიკა), TATANAKA (თამარ და ნატაშა სურგულაძეების ბრენდი), ქეთი ჩხიკვაძე, ATELIE 10ა, ნუცა მოდებაძე და სხვა.

ნაყოფიერი, მრავალმხრივი შემოქმედებითი კავშირები მეტი ახლის, ავანგარდულის შექმნას განაპირობებს. დიზაინერის მიდგომა საქმისადმი და ემოციონალური დამოკიდებულება დიზაინისადმი, განსაზღვრავს მისი შემოქმედებითი სტილის „მგრძნობიარე მინიმალიზმს“ და ეს არაჩვეულებრივია.





SHOESOPRENIA shoes enjoyed special attention at the accessory exhibition. Especially interesting and diverse were the works by artist-designer Irakli Bochorishvili. Their design was catchy, original, colorful, simple but clear-cut.

Irakli Bochorishvili graduated from Monumental Art Faculty of Tbilisi State Academy of Arts in 1995. In 1998 he decided to submit his original design sketches to Cartu-Isani Footwear Factory and started to study shoe production technology there. This gave a start to realization of his ideas. For several years, Irakli Bochorishvili worked in Sandali Studio; in 2007 he founded studio SHOESOPRENIA. Since that time, Irakli Bochorishvili has been designing breathtaking collections of footwear and accessories. SHOESOPRENIA works are the first brand in our country marked with words HAND MADE IN GEORGIA. Irakli Bochorishvili is also the initiator of domestic footwear and accessory exhibitions – these events were already organized in our country twice and attracted considerable public interest.

Irakli Bochorishvili maintains close cooperation with popular Georgian designers - Nino Chubinishvili, TATANAKA (Tamar and Natasha Surguladzes' brand), Ketii Chkhikvadze, ATELIE 10A, Nutsa Modebadze and others. Mutually beneficial and diverse creative links enable the designers to create more diverse and innovative objects. Irakli Bochorishvili's emotional attitude toward his work defines the "sensual minimalism" of his creative style, and this is wonderful.





სტუმრად პროფესიონალებთან


ოჯას ზოგჯერ აერთიანებს, როგორც საერთო ყოფა და შვილები, ასევე შემოქმედებითი იდეები. ქეთევან სოლომონიშვილი და თამაზ გოგოლაძე, ამ მხრივ იდეალურად პარმონიულ წყვილს წარმოადგენს. მათი არქიტექტურულ-პროფესიული ტანდემი წლების განმავლობაში მრავალი წარმატებული შედეგის საფუძველია. არქიტექტორები ორ ათეულ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ საზღვარგარეთ - მოსკოვსა და კიევში. მათი იდეებით მრავალი საინტერესო პროექტი განხორციელდა. მიგვხსენებათ შემოქმედებითი პროცესი თავისთავად კომპრომისებსაც მოიცავს და ყოველი განხორციელებული იდეა შინაგანად დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, უფრო ზუსტად კი კიდევ უკეთესის შექმნის სურვილს ბადებდა. სხვადასხვა დანიშნულების, სპეციფიკის და შე-

საბამისად სირთულის ობიექტებზე მუშაობამ, კი დიდი გამოცდილება მოიტანა, რაც მნიშველოვანი სეგმენტია ჭეშმარიტ პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესში.

თავიანთ შემოქმედებით ფირმაში არქიტექტორებმა ერთობლივად მუშაობის პროცესში - დროთა განმავლობაში - ფუნქციები „გაინანილეს“. ქალბატონ ქეთევანს მენეჯმენტი მიჰყავს - იგი ფირმის დირექტორია და ძირითადად ინტერიერზე მუშაობს. ბატონი თამაზი, წლების მანძილზე პროექტის მთავარი არქიტექტორია და ცალკეული შენობის, კომპლექსის თუ განაშენიანების არქიტექტურულ-მოცულობით სახეს ქმნის, თუმცა ეს სრულებით არ უშლის ხელს არქიტექტორთა ერთობლივ მუშაობას - ნებისმიერი სამუშაო ობიექტი ტანდემში განიხილება. არქიტექტორები, არა მარტო ქმნიან პროექტს, არამედ ნულოვანი დონიდან ხელმძღვანელობენ მის რეალიზებას თავიანთი საერემონტო ბრიგადის მეშვეობით ანუ აწარმოებენ პროექტის მენეჯმენტს.

უკვე ერთი წელიწადია შემოქმედებითი წყვილი თბილისში მოღვაწეობს. მათი მუშაობის რეჟიმი და ტემპი, საქმისადმი მიდგომა უცვლელია. ამ მოკლე პერიოდში არქიტექტორებმა უკვე რამდენიმე საინტერესო პროექტი განახორციელეს. რეალიზებულ პროექტებს თანმიმდევრობით გაგაცნობთ ჟურნალის უახლოეს მომდევნო გამოცემაში.

აბსოლუტურად იდენტური იყო ქეთევან სოლომონიშვილის და თამაზ გოგოლაძის დამოკიდებულება საკუთარი საცხოვრებლის მიმართ, მისი ჩამოყალიბებისას. საცხოვრებლის მყუდრო, ნათელი სივრცე მფლობელთა შემოქმედებითი ცხოვრების სტილისა და შესაბამისი კომფორტის გარანტია. მისი ატმოსფერო თავისუფლების და ლაკონურობის შეგრძნებითა გამსჭვალული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმყრობს სამუშაო კაბინეტის და მისაღები სივრცის შემოქმედებო-





თი თვითმყოფადობა. ვრცელი მისაღების და საერთოდ მთელი საცხოვრებლის კედლები თამაზ გოგოლაძის და ქეთევან სოლომონიშვილის მიერ შესრულებული შესანიშნავი ფერწერული ტილოებითაა დატვირთული. ძირითად პროფესიასთან ერთად არქიტექტორები მხატვრობით არიან გატაცებული და წარმატებასაც მიაღწიეს ამ სფეროში. ჯერ კიდევ 2005 წელს, მოსკოვის „მხატვრის ცენტრალურ სახლში“, წვეილმა თავისი ფერწერული ნამუშევრების გრანდიოზული გამოფენა მოაწყო, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. სულ მალე, ამ ზაფხულს, ბატონი თამაზი პესონალური გამოფენით წარსდგება საზოგადოების წინაშე და იმედია მისი გამოფენის ფოტორეპორტაჟსაც იხილავს „სტილის“ მკითხველი.




ამჯერად, კი შესაძლებლობა გვეძლევა, წარმოვიდგინოთ არქიტექტორ ქეთევან სოლომონიშვილის პროექტით კიევი (უკრაინა) რეალიზებული „ლუკოილის“ ოფისის ინტერიერი.

მოცემული სივრცის არქიტექტორიკა სახასიათო მოულოდნელობებზეა აგებული. ინტერიერში ორიგინალური კომპოზიციების, დეკორის, აქსესუარების გადანაწილება განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ხასიათს. იგი საინტერესო თემებითაა სავსე და მის ორგანიზებაში სწორედ ეს გახდა მთავარი მხატვრული პრინციპი. საერთო მოცულობაში რამდენიმე დომინანტი ნიუანსია კონცენტრირებული, თუმცა არალოკა-



ლურად. აქ მოხვედრილი დამკვირვებელი მოქნილი გეგმარებით თუ „დეკორატიული ნაკეთობებით“ შექმნილი ექსპოზიციის ფონზე აღიქვამს, რომ საზოგადოებრივი ინტერიერის ესთეტიკას ქმნის არა მხოლოდ თანამედროვე ფორმები და საგნები, არამედ ის აუცილებელი „თემატური“ ნიუანსები თუ ცალკეულ ასოციაციები, რომელიც მთელი სივრცის თვითმყოფადობის განმსაზღვრელია.

ნიმუ ლალიძე






დიოგენე - წიგნის ახალი მაღაზია თბილისში

2011 წლის 20 მაისს, თბილისში, სპორტის სასახლის გვერდით, გამომცემლობის „დიოგენე“ ძალისხმევით, წიგნის მაღაზია „დიოგენე“ გაიხსნა.

წიგნის მაღაზიის გახსნა ყოველთვის მნიშვნელოვანი კულტურული სიახლეა ნებისმიერ ქალაქში. მით უმეტეს ისეთი მაღაზიისა, რომელსაც ორიგინალური კონცეფცია და დიზაინი აქვს. ინტერიერის პროექტის ავტორი, არქიტექტორი სანდრო რამიშვილია.

არსებული არასახარბიელო პროპორციების შეცვლა ავტორმა საკუთარი პროფესიული ინტუიციის, არსებულ პირობებთან ადაპტირებით შეძლო. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით, ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებითაა მიღწეული.



მიუხედავად სტილისტიკური მთლიანობისა, ამ პატარა სივრცის ყოველი მონაკვეთის ინდივიდუალურობა შენარჩუნებულია. დეკორის და ფაქტურის მონაცვლეობა, მათზე მხედველობის კონცენტრირებას ახდენს. ხელოვნური განათების ინტენსივობა კი ხაზს უსვამს ფორმისა და ფერის სიღრმეს.

მაღაზია „დიოგენე“ იქნება მწერალთა და მკითხველთა შეხვედრის ადგილი, გაიმართება ახალი წიგნების პრეზენტაციები, ფილმებისა და სპექტაკლების ჩანაწერების ჩვენება, ლიტერატურული თამაშობები, შესაძლებელი იქნება უნიკალური წიგნების შექმნა. მოეწყობა საინტერესო აქციები. იმოქმედებს სპეციალური პროგრამები ბავშვებისა და უფროსებისთვის.

მოკლედ, წიგნის მოყვარულებს შეეძენებათ ყველა პირობას იმისათვის, რომ „დიოგენეში“ პირველად მოხვედრისთანავე მასთან სამუდამოდ დამეგობრების სურვილი გაუჩნდეთ.

Diogene – New Bookstore in Tbilisi


On May 20 2011 Diogene Publishers launched Diogene Bookstore in Tbilisi, near the Sports Palace.




Bookstore launch is an important event in the life of any city – especially if the bookstore in question has an original concept and design!

Interior of this new public space was created by architect Sandro Ramishvili. Professional intuition enabled the author to alter the existing inefficient proportions of the space to match new conditions. Integrity of the interior is achieved due to the wholesome composition, soft zone-to-zone transitions of color motives, subtle transitions of color tones, a range of suitable volumetric solutions, etc....

In spite of stylistic integrity, every bit of this small space is filled with individuality. *Dior* and texture sequences catch the eye, while varying intensity of artificial lighting accentuates originality of shapes and depth of colors.

Diogene Bookstore will serve as a meeting point for writers and readers, place to find unique books, venue for presentations of books, films and theatrical performances, interesting actions and youth programs. In other words, book amateurs will find here all the properties of a bookstore to be frequented for a long time to come.





სილამაზეში გააზრებული ფუნქციონალიზმი

წარმოდგენილი საცხოვრებელი ინტერიერი, თბილისში არსებული მრავალსართულიანი ტიპური საცხოვრებელი სახლში არქიტექტორ-დიზაინერის, ილია ზაქარაიას (არქიტექტურულ-დიზაინერული ჯგუფი „კუბი“) პროექტით გარდაიქმნა და სრულიად განსხვავებული მათი მფლობელებისთვის სასურველი სახე მიიღო. მოგესხნებათ ინტერიერზე მუშაობისას, იდეის განხორციელების პროცესში, შედეგი, ხშირ შემთხვევაში, განსხვავდება სანაყისი ჩანაფიქრისაგან, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, შედეგა შექმნილი რენდერული ვარიანტების იდენტური საცხოვრებლის რეალიზაცია და მაქსიმალურად გამოვლინდა ავტორის გემოვნება.

ორიგინალური გადაწყვეტითა და საინტერესო მიგნებებით კომფორტული, ესთეტიკურად თვითმყოფადი საცხოვრებელი სივრცე წარმოიქმნა. ინტერიერში მოცულობები თავისუფლადაა განთავსებული - ყველაფერი მხოლოდ სილამაზისთვის და სარგებლობისთვისაა შექმნილი. სივრცის თითოეული მონაკვეთი დამოუკიდებელი და დამთავრებულია. ფუნქციონალური საერთო ასოციაციების სისტემაშია ჩართული და თითქოს არსებული არქიტექტურული ფორმებიდანაა ამოზიდული. გეომეტრიული ჭრილები, მოცულობები, გარემოს მხატვრულ-დინამიკურ გამოხატულებას და მეტად გამოხატულობის ხდის.

იდეის გარეგნული მოქმედებითი „სიმარტივე“ გააზრებულ ფუნქციონალიზმთან და კომფორტთანაა შერწყმული. ამგვარად იქმნება „პიროვნულობისკენ“ მიმართული ბინის დიზაინი. რაც ძალზედ მოსახერხებელია სივრცის შემდგომი გარდასახვისათვის, რადგან დიზაინი, პრაქტიკულად, ავტორის მიერ შექმნილ, ნებისმიერ დეტალს „ითვისებს“. ეს დეტალები და აქსესუარები „საკუთარი“, განსაზღვრული ადგილების დაკავებით ინტერიერს დასრულებულ სახეს აძლევს.

ნინო ლაღიძე

Functionalism of Beauty

This residential interior in Tbilisi was designed by the architect-designer of Cube Studio (Architectural Design Group) Iliia Zakaraia.


Realization stage of interiors design often yields certain deviations from the initial sketches. However in this particular case the interiors created by architect, is absolutely identical to its render version, revealing the author's best taste.

The beauty of this designs exceeds aesthetic perception, developing on different planes and breathing a life of its own. Diversity of this beautiful, well-organized space and top quality of its refined forms are merged into a credible organism. Lighting, colors, accessories, proportions, mobile graphics - their integrity naturally forms unordinary spaces devoid of excess sophistication.

The distinguishing traits of their architecture are flexibility, originality and elegance, forming an inspiring environment tailored to meet the requirements of a family intending to live therein. Seeming simplicity of the concept is merged with functionality and comfort, allowing further "personalization" and creation of a unique living atmosphere.

NINO LAGHIDZE










სილამაზის ხედვა

თამარ კიკაღვიშვილი არქიტექტორ-დიზაინერია. დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტი; ასპირანტურა – დიზაინის განხრით (საკანდიდატო თემა: "თბილისის ისტორიული თეატრებისა და კინოთეატრების ინტერიერების რეკონსტრუქციარეაბილიტაციის პრინციპები"). არაერთგზის მოპოვებული აქვს წარმატებები საერთაშორისო კონკურსებში (რაც, პრესის ფურცლებზე თუ სხვადასხ-

ვა საინფორმაციო საშუალებებით იქნა დაფიქსირებული), მათ შორის ქ. ირკუცის, საერთაშორისო ბაიკალის ქალაქ გეგმარების უნივერსიტეტის დიპლომი და სერუი-პონტუაზის საზაფხულო ცონფერენციის პეციალური პრიზი; სერუი-პონტუაზის უნივერსიტეტის დიპლომი; გერმანიის კაიზერსლაუტერის უნივერსიტეტის დიპლომი, არქიტექტორთა საერთაშორისო დიპლომი და სხვა. გავლილი აქვს მასტერ-კლასები თანამედროვე დიზაინის კორიფეებთან.







ასპირანტური დამთავრებისთანავე დამოუკიდებლად თუ სხვადასხვა შემოქმედებით ჯგუფებთან ერთად ბევრი საინტერესო პროექტი შექმნა და განხორციელა. 2008 წელს მეუღლესთან არქიტექტორ გიორგი ქანთარიასთან ერთად ფირმა სტუდიო compasso დააფუძნა. ამჟამად, დიზაინის სფეროში მოღვაწეობს და საკმაოდ წარმატებითაც. მისი პროექტებით, მრავალი საინტერესო ინტერიერი შეიქმნა. შემოქმედებით ჯგუფს სამომავლოდაც საინტერესო გეგმების განხორციელება აქვს დაგანწყვტილი. ამჯერად, ძირითადად წარმოგიდგინებ სტუდიო compasso-ს პროექტებით განხორციელებულ საცხოვრებელი ბინების ფრაგმენტებს, რომლების სპეციალურად შეიქმნა სატელევიზიო პროექტისათვის „ბინა“. წარმოდგენილი, დაგვეთანხმებით ქართული ინტერიერული რეალობისათვის საკმაოდ არაორდინალურია.



მოცემულ სივრცეთა ერთიანი ინტერიერული სახე სილამაზის ხედვით - თანამედროვე და კლასიკური დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიკური გადანწყვებით, არქიტექტურული რითმებითაა მიღებული. ყოველ შტრიხსა და ნიუანსში, მათ ტონალობასა და სივრცეში გადანაწილებაში, პროფესიონალიზმი, დახვეწილი გემოვნება ჩანს. თავისუფლად ფორმირებულ საცხოვრებელში თითოეული ნივთი აქცენტირებულია. ყოველი მონაკვეთი იყვრობს ყურადღებას, როგორც განსაკუთრებული მოვლენა.

გემარების გადანწყვების ლაკონიზმი, დეტალებისადმი უნატიფესი დამოკიდებულებით კომპენსირდება. მათი ვიზუალიზაცია დიზაინის სტილის განმსაზღვრელი ხდება. ყოველ მოცემულ შემთხვევაში, ინტერიერი, თითქოს შიგნიდან ნათდება განსაკუთრებული, მისეული შუქით, რასაც „გამჭვირვალე“ დეტალების, კლასიკური აქსესუარების, ავტორთა მიერ შექმნილი დეკორატიული კომპოზიციების, ბუნებრივი და ხელოვნური განათებების სინქრონი აღრმავებს და არა მხოლოდ...

წარმოდგენილი კოლაჟი ავტორთა პიროვნულობის, პროფესიონალიზმის სავიზიტო ბარათია. იგი, მათი შემოქმედებითი კულტურის ერთ-ერთი მეტად მობილური ფორმაა, რომელიც მეტად ფაქიზად რეაგირებს ნებისმიერ ცვლილებაზე.

ნიმუ ლალიძე
ფოტოზი: „studio compasso“







Vision of Beauty

Tamar Kikaleishvili is architect-designer. She graduated from the Institute of Architecture at the Georgian Technical University and completed a course of graduate studies on design (degree paper: "Reconstruction and Rehabilitation Principles Applicable to Interiors of Historical Theaters and Cinema Houses in Tbilisi"). Tamar Kikaleishvili is successful participant and prize-winner of numerous international competitions, including Baykal Urban Planning University Diploma, special prize of Cergy-Pontoise Summer Conference, Cergy-Pontoise University Diploma, German Kaiserslautern University Diploma, Diploma of the International Union of Architects, etc. Tamar Kikaleishvili attended master-classes of top representatives of modern design community.

Having finished the graduate study course, Tamar Kikaleishvili got involved in development and implementation of numerous individual and collaborative projects. In 2008, together with her husband, architect Giorgi Kantaria, she founded Studio Compasso. At the time being, Tamar's main and considerably successful activity is design. She has created interiors of many interesting interiors and has some original projects in store for the future.


The current issue of our magazine features interiors of apartments, designed by Studio Compasso for TV project "Bina" as well as several public interiors.

Presented projects are quite unusual for Georgian standards. They boast integral style based on mixture of modern and classical d'cor motives, spatial design solutions and architectural rhythms, the authors' high professionalism and refined taste. In freely organized residential interiors every object is accentuated and every bit of space surprises with its originality. Laconic planning solutions are counterbalanced by careful attention toward minor details, visualization of which eventually defines the design style. In each particular case the interior seems to be illuminated by special radiance, highlighted by classical accessories, decorative compositions, combination of natural and artificial lighting and much, much more...

The collage presented on these pages is a tribute to the authors' individuality and professionalism, a mobile expression of their creative culture, which reacts so acutely to any change.

NINO LAGHIDZE
PHOTOS BY STUDIO COMPASSO





ახალი საზოგადოებრივი სივრცე

თბილისში, „დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის“ ინტერიერული სივრცე არქიტექტორ ალექო კორკოტაშვილის პროექტით განხორციელდა. არქიტექტორი ამოცანის გადაწყვეტისას მობილიზებული იყო არა სამკურნალო, არამედ ჯანმრთელობის ცენტრის შესაქმნელად. შესაბამისად, ამიტომ შეიქმნა ასეთი „სუფთა“ და ნათელი სივრცე. კედლების, ჭერის, იატაკის ღია, გამჭვირვალე ტონები - ეს ერთგვარი ნეიტრალური ფონია - სამგანზომილებიანი ტილოა, რომელზედაც ეფექტურად იკვეთება რესეპშენის ნარინჯისფერი, ჭერის გრაფიკა, იატაკზე ფილაქანის გეომეტრიზმი და მსუბუქი ფურნიტურა.

კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, ხაზს უსვამს ფორმას, განსაზღვრავს მასში ფერის სიღრმეს და ინტენსიობას. ყოველივე კი, ახლადნარმოქმნილი საზოგადოებრივი სივრცის სიმყუდროვის, კომფორტის, მაღალი იმიჯის გარანტია.


ნინო ლაღიძე


New Public Space

Interior project of David Tashvili medical center in Tbilisi, was designed by architect Aleko Korkotashvili. Modern interior of new center headquarters is not just comfortable - it charms with a special, uniquely expressive atmosphere. Flexible planning, dynamic shapes, refined furniture and accessories segmenting the place into different zones, make the whole interior even more impressive and meaningful.

The design features original highlights, defining individual character of the interior. Unobtrusive harmony of orange-and- colourless background color palette is animated by bright details.

NINO LAGHIDZE





სივრცის ორგანიზება

ყოველი ახალი ინტერიერის შექმნისას, არქიტექტორ ალექო კორკოტაშვილი განსაზღვრული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს. ეს არის გეგმარების გადამწყვეტის სისუფთავე, სტილი, ჰაერი და „სინყნარე“. მისი აზრით თითოეული, მეტად აუცილებელია საცხოვრებელი სივრცისთვის. არქიტექტორი მიზანს საქმისადმი პროფესიული მიდგომით - მოქნილი გეგმარების შემუშავებით და დეტალებისადმი ყურადღების აქცენტირებით აღწევს, რაც მინიმალისტური ინტერიერისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

საცხოვრებელ სივრცეში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი) დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. სტილისტურ მთლიანობაში, თითოეული მონაკვეთის ინდივიდუალურობა და ფუნქციურობა თავისებურად იკვეთება, მათი ერთობლიობა ინტერიერში უნონადობის შეგრძნებას ბადებს. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას, სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება.



ნინო ლარიძე

Space planning

There are several criteria by which architect Aleko Korkotashvili guided, when tackling the job. This purity of solutions, style, air, and "silence." All of these qualities, in architect opinion, are necessary to any residential space. He wants them to be achieved through competent, professional planning and attention to detail that is important for a minimalist interior at least for the classic"

Correct space organization (Vaja-pshavela ave., Tbilisi), harmony of colors and materials, skillful finishing, interesting interior design and well-chosen furniture, tasteful accessories alongside with clear identity and style, conforming the functional meaning of the space - such are attributes, describing a successful architectural solution.

NINO LARIZE





რედ კაფე

2011 წლის აპრილში REDIX DEVELOPMENT დაკვეთით, კომპანია „არქთრეიდმა“ დაასრულა RED CAFE-ს ინტერიერის მოწყობა. RED CAFE ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარეობს. იგი საუკეთესო ადგილია საუზმისა და ლანჩისთვის! კომპანია „არქთრეიდის“ მიერ წარმოდგენილი, სპეციალურად კაფესთვის განსაზღვრული, მაღალხარისხიანი ევროპული ავეჯი და ჭურჭელი მყუდრო და სასიამოვნო გარემოს ქმნის. გამოყენებული პროდუქტი: ავეჯი - PEDRALI, სამზარეულო ტექნოლოგია - LINCAR. კაფეს პრეზენტაცია 26 აპრილს შედგა.

„რედ კაფეს“ ინტერიერი შექმნილია ღია სამზარეულოს პრინციპით - სამზარეულო ინტეგრირებულია მომსახურების საზოგადოებრივ სფეროში, სადაც თითოეულ სტუმარს აქვს საკვების მომზადების პროცესისთვის თვალი დევნების შესაძლებლობა.



მრავალფეროვანი მენიუ, უგემრიელესი კერძები, ნათელი ფერები, სასიამოვნო ფონური მუსიკა და კეთილგანწყობილი პერსონალი – „რედ კაფეში“ ყველაფერია იმისთვის, რომ თავი კომფორტულად იგრძნოთ და პოზიტიურად დაიმუხტოთ.

Red Cafe

In April 2011 "Archtrade" Company finished the interior of RED CAFE, commissioned by REDIX DEVELOPMENT. RED CAFE is located in Vaja-Pshavela Avenue. This is the best place for breakfast and lunch! Top quality European furniture by Pedrali as well as kitchen infrastructure and crockery by Lincar selected by "Archtrade" exclusively for this cafe help form a comfortable and pleasant environment.

RED CAFE interior is built up on open kitchen principle: the kitchen is integrated with service line, so that every visitor can watch cooking process.

Versatile menu, tasty meals, light colors, pleasant background music and friendly personnel – RED CAFE possesses everything you need to for comfort and positive mood.



არქიტექტურის ხარისხის ნიშანი

არქიტექტურულ ნაწარმოებებში (რეალიზებული) მაღალი სტანდარტების დამკვიდრების, შემდგომში მისი განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით 2011 წლის 11 თებერვალს - იუნესკოს კლუბის - ინიციატივით, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ დაფუძნდა არქიტექტურის ხარისხის ნიშანი.


დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სათაფლიის ნაკრძალის მუზეუმის შენობას მიენიჭა არქიტექტურის ხარისხი - "შენობები ახალი ტექნოლოგიებით".

არქიტექტორი გიორგი ჭკუასელი (კომპანია „ქართული პროექტი“).





განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში



რაინიზზა. სალომი ბარბაქაძე

2011 წლის 20 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა არქიტექტურის ფაკულტეტის ახალი მიმართულებისა; - “განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში“

აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საკონკურსო და სადიპლომო, ასევე საკურსო პროექტები თემატიკით ; 24 საათიანი ფუნქციონირების, საკულტო, სანარმოო, საზოგადოებრივი ობიექტები და ა.შ.

35-მდე სადიპლომო და საკურსო პროექტთა შორის არაერთი საერთაშორისო კონკურსის პრიზიორია.

გამარჯვებული პროექტებია; “ჰაი-ბრიჯ“-ის ხიდის რენოვაცია, ნიუ-იორკის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული-გიორგი ნანავა.

“მუსიკალურ-გასართობი კულტურის ცენტრი ტავიანის ქალაქ კაოსიუნგში“ (2010 წლის გრანპრი)- ლელვა ტაბატაძე

ლონგაილენდის საცხოვრებელ რაიონში საზოგადოებრივ-სარეკრეაციო ცენტრის პროექტი-სოფო სილაგაძე.

ლონგაილენდის საცხოვრებელ რაიონში სავაჭრო ცენტრის პროექტი-მარიტა რურუა.

საერთაშორისო კოსმოსური ცენტრი. NASA-ს კო-

ნკურსის გამარჯვებული პროექტი – “კოსმონავტების დასახლება მთვარეზე“-ნიკა სულხანიშვილი.

“განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში“-ახალი მიმართულება არქიტექტურაში, რომელსაც ხელმძღვანელობს თბილისის სამხატვრო აკადემიისა და გერმანიის აკადემიის პროფესორი თეიმურაზ ჯორჯაძე. მან 2000 წელს გერმანიაში ასევე დაარსა ფაკულტეტი ; “ ბუნებრივი და ხელოვნური განათება არქიტექტურაში“- გერმანელ არქიტექტორ, პროფესორ რუდოლფ ჰოლინერთან ერთად.


ახალი ფაკულტეტის მთავარი ამოცანაა ფერისა და განათების ურთიერთდამკვიდრებულების, თანა-



HIGHT BRIDG - ნანაპი ბიორბი




ლონგაილენდი. სავაჭრო ცენტრი, მარიტა რურუა



ლონგაილენდ-სარეკრეაციო ცენტრი სოფო სილაბაძე



მინის ქარხანა. ხატია მახარაშვილი



მუსიკალურ გასართობი ცენტრი ტაივანის ქალაქ კაოსიუნგში. ლელა ტაბატაძე

მედროვე ტექნოლოგიების შესწავლა, შემდეგ ამ ყველაფრის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე არქიტექტურის შექმნა თანამედროვე მოთხოვნები-სდა მიხედვით. მაგისტრანტებისათვის შექმნილია 21 ახალი სასწავლო პროგრამა; არქიტექტურის სინათლის ტექნიკა, ფერის ფსიქოლოგია(შუქტექნიკა) და ა.შ.

ფაკულტეტი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფუნქციონირებს 2008 წლიდან.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტურის ამ ახალ მიმართულებას ანალოგია არ გააჩნია არამხოლოდ საქართველოს მასშტაბით.

ლელა ტაბატაძე





ახალი გალერეა



თბილისში, 2011 წლის 1 ივნისს, ბესიკის ქუჩაზე №26 გაიხსნა “ახალი გალერეა”. გალერეა გაიხსნა ირაკლი ფარჯიანის (1950 – 1991) ნამუშევრების გამოფენით, მხატვრის ოჯახის კოლექციიდან. გაიმართა გამოფენის კატალოგის პრეზენტაცია.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში შექმნილი ნამუშევრები:

- ბერლინის ციკლი - დიდი ზომის ფერწერული ნამუშევრები რელიგიურ თემაზე და მეტაფიზიკური ლანდშაფტები. (ფერწერა - 16 ცალი) 1989 – 1990წწ.

- ჰომეროსის “ოდისეა” - ილუსტრაციები, (ქალაქი, პანდა. 25 ცალი)


- ილუსტრაციები საბავშვო ბიბლიისათვის. (ქალაქი, ტუში - 20 ცალი)





ირაკლი ფარჯიანი თანამედროვე ქართული მხატვრობის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, რომელმაც ფაქტობრივად განსაზღვრა მე-20 საუკუნის ქართული მხატვრობის ძირითადი მიმართულებები, მუშაობდა ფერწერაში, გრაფიკაში, წიგნის ილუსტრაციაში. 1970 - იანი წლების ბოლოს დაიწყო მუშაობა რელიგიურ თემაზე, შეასრულა სახარების ილუსტრაციები და გადაწერა სახარება. მისი შემოქმედება ძალზე მრავალფეროვანია: რელიგიური თემა, აბსტრაქცია, ყვავილების კომპოზიცია, სერიული კომპოზიციები სხვადასხვა თემაზე. ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრები დაცულია კერძო გალერეებსა და კოლექციებში საქართველოში, რუსეთში, ამერიკასა და ევროპაში. გამოფენები მოწყობილია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ: იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია და სხვა.

1992 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია;


1996 წელს - ნიკო ფიროსმანის სახელობის პრემია.

პაიპ ნიშორიძე





New Gallery



On June 1 2011, "New Gallery" was opened in 26 Besiki Street in Tbilisi. The Gallery was launched by exhibition of Irakli Parjiani's (1950-1991) works, created at different times and stored in his family collection: Berlin cycle – large paintings dedicated to religious and metaphysical themes, created in 1989-1990 (16 canvases); Illustrations to Homer's "Odyssey" (25 drawings); Illustrations to the Bible for children (20 ink drawings)

Irakli Parjiani is an important representative of modern Georgian art, who actually defined major trends of development Georgian fine art in the 20th century. Equally important is Irakli Parjiani's contribution to graphics and book illustration. In the 1970ies he started to work on religious themes, illustrated the Bible and copied the Gospel. Irakli Parjiani's works are surprisingly versatile: they range from religious topics to abstractions, from flowers to serial compositions dedicated to different topics. Irakli Parjiani's works are stored in galleries and private collections in Georgia, Russia, USA and Europe. His exhibitions have been arranged both in Georgia and abroad: in Italy, France, Germany, Spain, Italy, etc.

In 1992 Irakli Parjiani was awarded Georgian National Prize;
In 1996 Irakli Parjiani received Niko Pirosmiani Prize.



TIN TIN

დიზაინერმა თინათინ მაღალაშვილმა 25 მაისს ახალი კოლექციის ჩვენება გამართა. ახალგაზრდა დიზაინერს წყნეთში სასტუმრო-კომპლექსმა „კობალაშ“ უმასპინძლა. ამ დღეს მისულმა მაყურებელმა თელავიეში მაღალი მოდის კვირეულზე იენისში წარსადგენი **HOUTE COUTURE**-ს მაღალი დონის 20 ნამუშევარი იხილა. კოლექცია ზომონდური სტილისაა. მასში ძირითადად ნათელი ფერები ჭარბობს და წარმოდგენილი იყო მხოლოდ ხელით ნაკეთი საღამოს კაბები, რომლებიც სვაროვსკის ქვებითაა გაფორმებული დიზაინერის თქმით კოლექციის შთაგონების წყარო მოდელი კრისტი ყიფშიძეა. დიზაინერი კოლექციის შექმნაზე 4 თვე მუშაობდა.

ჩვენებაში მონაწილეობას სხვადასხვა სამოდელო სააგენტოების მოდელები იღებდნენ. თინათინ მაღალაშვილის ახალი კოლექციის ჩვენებას ცნობილი დიზაინერები, მომღერლები, მსახიობები და საზოგადოებისთვის ცნობადი სახეები დაესწრნენ. წვეულება მუსიკალურად დიჯეი "ეკა-ეკალა" -მ გააფორმა. დამსწრე საზოგადოებამ ალფრთოვანებით მიიღო თინათინის კიდევ ერთი უმშვენიერესი კოლექცია და მაღალი შეფასება მისცა მას. წვეულება ულამაზესი, უგემრიელესი ტორტით და შამპანურით დაგვირგინდა.



თინათინ მაღალაშვილმა 1997 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია ნითელ დიპლომზე. 2000 წელს ასპირანტურა დაამთავრა წარჩინებით და პროფესიონალი მხატვრის კვალიფიკაცია მიენიჭა.
2001-2005 წწ მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ხელოვნების კათედრაზე, უფროსი პედაგოგის თანამდებობაზე, ლექციებს კითხულობდა ხატვასა და პლასტიკურ ანატომიაში. 2005 წელს მოდის სახლში "ლეონი" კითხულობდა ლექციებს მოდის ისტორიაში, მიჰყავდა ხატვისა და ტანსაცმლის დიზაინის კურსი.

გამოფენები და ჩვენებები:

- 2002 წლის თებერვალში, თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით, სამხედრო აკადემიაში მოეწყო თინათინის პირველი პერსონალური გამოფენა.
- 2003 წელს მონაწილეობა მიიღო ექსპოზიციაში "შემოდგომის მხატვრები" რომელიც მოეწყო ეროვნულ გალერეაში.
- 2003 წელს "ლაგუნა-ვერს" საპრეზენტაციო დარბაზში მოეწყო დიზაინერის თეატრალიზებული დეფილე.
- 2004 წელს კლუბ "16 რაუნდში" წარმოადგინა პრეტ-ა-პორტე გაზაფხული-ზაფხული 2004.
- 2003 წელს მონაწილეობა მიიღო კლუბ "16 რაუნდში" ორგანიზებულ ყვავილების ფესტივალზე წარმოდგენილი იყო საღამოს და კოქტეილის კაბების კოლექცია.
- 2005 წელს მონაწილეობა მიიღო მოსკოვის საერთაშორისო თოჯინების გამოფენაზე.
- 2001-2006 წლამდე მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა დეფილეებზე, სახვითი ხელოვნებისა და თოჯინების გამოფენებში.
- 2008 წლის ნოემბერში გახსნა თავისი სახელობის მოდის სახლი "თინათინ მაღალაშვილი" და არის ამ სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი.





პერსონალური გამოფენა

რამდენიმე წელიწადია ბაზის ბანკის სათავე ოფისი, თბილისში, თავისი ძირითადი ფუნქციის გარდა, წარმატებით ასრულებს საქართველოს ერთ-ერთი კულტურული ცენტრის დანიშნულებას.


ბანკის ოფისში განთავსებულ საგამოფენო დარბაზში ინტენსიურად ტარდება კულტურული ღონისძიებები: გამოფენები, შემოქმედებითი საღამოები, პრეზენტაციები და სხვა. ამ ღონისძიებებს ათეულობით ადამიანი ესწრება, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას.

3 ივნისს აქ, მხატვარ მიხეილ იაშვილის პერსონალური გამოფენა გაიმართა. გამოფენა ბატონმა გია ბულაძემ გახსნა და მხატვრის შემოქმედება მიმოიხილა. მან აღნიშნა, რომ "ითხმოციანელთა" ჯგუფის წარმომადგენლის, მიშა იაშვილის დამსახურებით ქართულ სახვით ხელოვნებაში მრავალი სიახლე დაკვიდრდა.


გამოფენაზე წარმოდგენილი მხატვრის საუკეთესო ნამუშევრები დამთვალიერებლებზე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა.

მხატვარი ორიგინალური ხელნერით გამოირჩევა. მისი ნახატები ერთმანეთს არ ჰგავს არც ფერებით, არც მონასმებით, არც სხვა გამომსახველობითი ხერხებით. ყველა მათგანი ორიგინალური და თავისთავადია. თითოეული მათგანი გამოირჩევა საოცარი ფერთა შეხამებით და რაც მთავარია, მისი ნამუშევრებს ვერცერთ კონკრეტულ მიმდინარეობას ვერ მივაკუთვნებთ. მათში გამოირევა რეალისტური ფორმები, იმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება და სინათლით გაჯერება, პოსტიმპრესიონიზმისათვის დამახასიათებელი მონასმები და სხვა.

გამოფენას უამრავი ადამიანი ესწრებოდა. სტუმრები აღერთვანებას ვერ მალავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მხატვარიცა და მისი შემოქმედებაც მათთვის უცხო არ იყო.




არაჩვეულებრივი გამოფენა ახალქალაქში



სასიკეთო საქმეებს განაცხობს თანამედროვე ქართველ მხატვართა აქცია „არაჩვეულებრივი გამოფენა“. როგორც ჩვენი ურნალის მკითხველებს ადრე ვაუწყებდით, აქციის მონაწილე მხატვრები მიმოდინან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მართავენ გამოფენებს, თავიანთ ნამუშევრებს ჩუქნიან ადგილობრივ მუზეუმებს, ხოლო სადაც არ არის მუზეუმი ან გალერეა აქციის შემდეგ ადგილობ-

რივი, ხელმძღვანელობის ძალისხმევით იხსნება საგამოფენო დარბაზები, მუზეუმები თუ გალერეები ათეულობით ნაჩუქარი სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოსაფენად.

ამ რამდენიმე დღის წინათ, აქციის მონაწილეები, მეუფე ნიკოლოზის და მამაო ალექსანდრეს დახმარებით ჯავახეთში, ახალქალაქში ჩავიდნენ, გამართეს გამოფენა, არაქართველ მოსახლეობას ესაუბრნენ თანამედროვე ქართული მხატვრობის მიღწევებზე, პრობლემებზე და მთელი ექსპოზიცია (50 ნამუშევარი), რომელსაც დიდი მოწონება ჰქონდა, ახალქალაქელებს დაუტოვეს საჩუქრად. ამ ქალაქში მუზეუმი დღემდე არ არის. ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე ნიკოლოზმა თავის გამოსვლაში აქცენტს გააკეთა იმაზე, რომ უკვე აუცილებელია ახალქალაქში გაიხსნას თანამედროვე ხელოვნების გალერეა. ამ აზრს დაეთანხმა ადგილობრივი ხელისუფლებაც. ამით, ალბათ, ერთი კარგი საქმე გაკეთდება. მალე ახალქალაქში, მამუტოცის ქუჩაზე, დედათა მონასტრის ტერიტორიაზე ახალი ხელოვნების გალერეა დაიგებს ნავსაყუდელს. კეთილშობილური აქცია გრძელდება. მისი ორგანიზატორის, ნიჭიერი მხატვარის, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის მიშა იაშვილის გადანიშნულებით აქცია „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გრძელდება და ამ ზაფხულ-შემოდგომაზე მხატვრები ხევსურეთს ენევიან.



მრავალმხრივი ხელოვანი



ს მირან ისიანი დაიბადა 1959 წელს, ქუთაისში. სწავლობდა გ. მაისურაძის სახ. სამხატვრო სკოლაში (1970-74), თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის(1982); მულტიპლიკაციის (1983-1988) განყოფილებაზე. მხატვრის შემოქმედებითი სპექტრი მრავალფეროვანია. ნამუშევრების ნუსხა - უსაზღვროდ დიდი. შესრულებული აქვს:

სულხან საბა-ორბელიანი, „სიონზე სიცრუისა“ (ანიმაციური ფილმის კადრირება და ტიპაჟი, 1988, განუსვრცილებელი);

ფერწერული ნამუშევრები: „ამბორი“, „დედის ხელი“, „გამხმარი ხე“, „კალანდა“, „მეზღაპრე“, „პორტრეტი“, „რაინდის მოგზაურობა“.

მხატვრის გრაფიკით გაფორმებულია ხალხური ზღაპარი „ბაქია კურდღელი“ (1996), მსოფლიო ლიტერატურის ექვსტომეული, გამომცემლობა „დეა“ (2006).

არის ანიმაციური ფილმების „ფერისცვალება“ (1990 წლის მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალისა და ფესტივალ „მანა-95“ დიპლომები), „მძლეთამძლე“(1991წ. წელს ამ ფილმის ოცი წლის იუბილე აღინიშნა), „ჩამოდი ჩემი ღრუბლიდან“ (1993), „ნუ დამტოვებ“(1993), „ზამთარი“ (1993), „უძლიერესი“ (1996), წყლის პირველი შრომანი“ (2009) სცენარის ავტორი, დამდგმელი მხატვარი და რეჟისორი; სატელევიზიო გადაცემების „ჩიპო“ (II არხი), „სიზმარეზია“ (საზოგადოებრივი არხი), დოკუმენტური ფილმის „საქართველო ჩვენია! გაიგე რუსო?!“(2008, ბათუმის მართლმადიდებელი ფილმების ფესტივალის ჯილდო) ავტორი. მხატვრის პერსონალური გამოფენები სხვადასხვა დროს (1993-2008 წწ.) მოეწყო როგორც საქართველოში (თბილისი, სოხუმი, ბათუმი), ასევე მის საზღვრებს გარეთ (პარიზი, მოსკოვი, პეტერბურგი, ტალინი). მისი ნამუშევრები ინახება მსოფლიო გალერეებში და კერძო კოლექციებში.

1993 წლიდან - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ანიმაციური ფილმების განყოფილების პედაგოგია.

მრავალმხრივი მხატვარი, ლიტერატურული და სარეჟისორო ნიჭით დაჯილდოებული ხელოვანი, ამირან ისიანი ქართული მულტიპლიკაციის გამორჩეული სახეა. როგორც პედაგოგი, ბევრს მუშაობს ახალი




ალმატის კინოფესტივალზე
ALMATY CINEMA FESTIVAL



ამირან ისიანი, რეჟო ჩხიძე, კირილ ლავროვი.
ა. ისიანის ფილმის პრეზენტაციაზე
AMIRAN ISIANI, REZO CHKHEIDZE AND CYRILL LAVROV AT THE
PRESENTATION OF AMIRAN ISIANI'S MOVIE

პროფესიული კადრების მომზადებაზე. მისი მთავარი ამოცანა ქართული მულტიპლიკაციის გადარჩენა, მისი განვითარების მხარდაჭერაა. ბოლო წლებში მხატვარი აქტიურად მუშაობს ფერწერაში, მისის ინდივიდუალურობა კარგად ჩანს პერსონალურ გამოფენებზე წარმოდგენილ ექსპოზიციებში.


ირინა ელიოზოვა



Versatile Artist





ამირან ისიანი და მაიკლ იორკი იურასია ფესტივალზე
AMIRAN ISIANI AND MICHAEL YORK AT EURASIA FESTIVAL



ზამთარი
"Winter"



ჩამოდი ჩემი ღრუბლიდან
"Come Down from my Cloud"



მძლეთამძლე
"Mdzletamdzle"

Amiran Isiani was born in 1959 in Kutaisi. He studied in G. Maisuradze Art School in 1970-1974, in Tbilisi State Academy of Arts at the faculties of design (1982) and animation (1983-1988). The range of Amiran Isiani's works is highly diverse. He has the author of the following:

Sulkhan-Saba Orbeliani, "Sibrdzne Sitsruisa" (photo script and prototype, 1988, unrealized);

Fine art works "Kiss", "Mother's Hands", "Withered Tree", "Kalanda", "Storyteller", "Portrait", "Knight's Journey";

Graphic illustrations for the folk tale "Braggart Bunny" (1996), 6-volume anthology of world literature, Publishing House "Dea" (2006);

Animated films "Transfiguration" (diplomas of Moscow International Festival and Festival "Mana-95"), "Mdzletamdzle" (1991), "Come Down from my Cloud" (1993), "Don't Leave Me" (1993), "Winter" (1993), "The Strongest" (1996), "The First Water Lily" (2009) - script writer, art director and producer;

TV shows "Chipso" (Channel 2), "Sizmarvision" (Georgian Public


Broadcaster), documentary "Georgia is ours, do you understand?" (2008, won an award at Batumi Festival of Orthodox Christian Movies).

Personal exhibitions of Amiran Isiani were arranged at different times in Georgia (Tbilisi, Sokhumi, Batumi) and abroad (in Paris, Moscow, St. Petersburg, Tallin). His works are stored in art galleries and private collections all over the world.




In 1993 Amiran Isiani began to teach at the Animation Department of Tbilisi State Academy of Art.

Amiran Isiani – a versatile artist with distinguished literary and film production talent – is a special figure in Georgian animation. As a teacher, he makes a significant input to training of new specialists. Amiran Isiani's major goal is to contribute to survival and development of Georgian animation.


IRINE ELIOSOVA





ნუ დამტოვებ
"Don't Leave Me"




ფერისცვლება
"Transfiguration"



სულის პირველი შროშანი
"The First Water Lily"



უფლიერესი
"The Strongest"



„გამოყენებით დიზაინის სტუდია“ - გამოფენა არდადეგების წინ

ზაია გალერეაში 26 ივნისს ერთ უჩვეულო გამოფენაზე მოვხვდით. იქ მოზარდების დიზაინერული ნამუშევრები გამოეფინა და ჯერ კიდევ გრილი ზაფხულის საღამოს შარდენის ქუჩა გამოფენის სხვადასხვა ასაკის დამთვალეობებით გავსებულიყო. „ვარიაციები ჯოკონდას თემაზე“, „არაბული დოქები“, „იაპონური ფარნები“, „დეკორატიული თევზები“, „დიზაინი შექანიკური საათებისთვის“, „ნიღბები“, „ჩანახატების წიგნაკები“... ასეთი მრავალფეროვანი იყო წარმოდგენილი ნივთების თემატიკა. ჩვენ გავესაუბრეთ „გამოყენებით დიზაინის სტუდიის“ ხელმძღვანელს - მანანა მიქაშაიძეს.

- როდის დაიწყო ამ სტუდიამ მუშაობა? აქამდე თითქოს არ გაგვიცხადებდით.

- ბუნებრივია, რომ არაფერი გსმენიათ. სულ რაღაც სამი თვეა, რაც ამ სტუდიამ მოაგროვა ნიჭიერი მოზარდები და მუშაობა დაიწყო. მისი შექმნის იდეა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ისე, როგორც ყველაფერს, ალბათ ამასაც მომიხვედბა სჭირ-

დებოდა. ბოლოს, არქიტექტურული სტუდიის - „სტუდია სამი“ ბაზაზე განვხორციელეთ - შევქმენით „გამოყენებით დიზაინის სტუდია“ და დღეს, როცა ვუყურებ ამ ბავშვების ნამუშევრებს, ვრწმუნდები, რომ ნამდვილად ღირდა მისი შექმნა.

- ასეთი პრაქტიკა მგონი სხვა ქვეყნებშიცაა, როდესაც არქიტექტორები მსგავს სტუდიებს აფალიბენ...

- ნამდვილად არის. პოლანდიაში, ინგლისში და საფრანგეთში იყო ასეთი ექსპერიმენტები და ყველა მათგანი წარმატებული აღმოჩნდა. ერთხელ თქვენმა ჟურნალმაც გაამაგრა რუსი არქიტექტორების მოსწავლეების ფანტასტიკური გამოფენა.

ყველას, ვისაც ვიზუალურ კულტურასთან აქვს შეხება, ერთხმად აღიარებს, რომ ესთეტიკურ ხედვას ბავშვობიდან უნდა აღზრდა. მოზარდებში განსაკუთრებით ეფექტურია ასეთი სტუდიის მუშაობა, ისინი ხომ მოწადინებულნი არიან, რომ მუშაობის შედეგი მალევე დაინახონ... შესაბამისად ხელოვნების შესწავლის მოტივაციაც უღმავდებათ.



- ნამდვილად, ჩვენც გეთანხმებით ამაში. რამ-

დენი ბავშვია ამჟამად სტუდიაში და თუ არის რაიმე ასაკობრივი შეზღუდვა?

- ამჟამად ჩვენთან 14 მოსწავლეა. ყველაზე პატარა 12 წლისაა, უფროსი კი 15 წლის. შემოდგომიდან ვეგემავთ ჩვენი სტუდია უფრო გავაფართოვოთ და სტუდენტური ასაკის ჯგუფიც შევქმნათ. მათთვის სხვანაირი პროგრამა შემუშავდება.

- ასლა როგორია სწავლების მეთოდი?

- ჩვენი გაკვეთილები შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილისგან. ვიღებთ კონკრეტულ კულტურას, ვიზილავთ მის ისტორიას, მხატვრულ თავისებურებებს, მიზეზებს, რაც იწვევს ამ თავისებურებებს (მათ შორის გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და ისტორიულსაც). შემდეგ ამ ცოდნის მაქსიმალურად გაღრმავებისთვის მოსწავლეები თავისი ხელით აკეთებენ თითო ნივთს. ამისთვის იყენებენ ხელით მუშაობის სხვადასხვა ტექნიკას; პაპია-მაშეს, კოლასხ, მაკეტირებას, მოხატვას და ასე შემდეგ. შემოდგომიდან ამოცანები საკვარად უფრო გართულდება, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოც გახდება. მაგალითად, გვინდა შევეხოთ თეატრალური



Applied Design Studio - Pre-holiday Exhibition

სცენის დიზაინს და ილუსტრაციის დიზაინს.

- **ესე იგი შემდეგი გამოფენები კიდევ უფრო საინტერესო გახდება?**

- ამის დიდი იმედი მაქვს, მითუმეტეს, რომ ეს ბავშვები დიდი ხალისით და ნიჭით მუშაობენ...

- **ალბათ ძალიან უხარიათ სტუდიაში მუშაობა.**

- კი, ძალიან და ეს მეც დამატებით სტიმულს მძლევს. ანკა და ოთო ნაცვლიშვილები, ქეთი მოსულიშვილი, თინა ხიმშიაშვილი, თინათო გველესიანი, ლუკა მინდიაშვილი, თეკლა გამცემლიძე, აჩო და მარიამ შენგელიები, ფიქრია ქიქოძე, ნიკუშა თევზაძე, ნიტა ტაბატაძე, ლიზი ციბაძე და ირაკლი მარგიშვილი არიან ის ბავშვები, რომლებიც დიდი სიხარულით მოდიან სტუდიაში კვირაში ორჯერ და იმედია მათ კარგად დაამახსოვრდებოთ ის გაკვეთილები, რომლებსაც ასეთი ხალისით ვატარებთ.

- **დარწმუნებული ვარ, ასეთი ტიპის სწავლა და ასეთი შედეგი კარგ კვალს დატოვებს მათ ცოდნაზე, წარმატებებს გისურვებთ!**

დიდ მაღლობას მოგახსენებთ!

On June 26 I happened to attend an unusual exhibition in Baia Gallery. The exhibition, consisting of teenage designers' works, attracted numerous visitors of different ages, who promanaded in Chardin Street on that cool summer evening.

"Gioconda variations", Arabian pitchers, Japanese lanterns, decorative plates, mechanical clock designs, masks, sketch books... Diverse articles presented at the exhibition fell under these categories. We interviewed Manana Mikashavidze, manager of Applied Design Studio.

- **When was your studio launched?**

- We started to work about three months ago. The idea of creating such a studio is much older, but it probably needed some ripening. Finally we realized it with the support of architectural studio "Studio Three", and now, looking at the kids' works, I feel that Applied Design Studio was worth establishing.

- **As far as I know, there is some experience of such studios run by architects in other countries...**

- Absolutely right. Architects in Holland, England and France tried to work in this direction and their initiatives were highly successful. I remember a report on fantastic works created by students of Russian architects in your magazine.

Anyone maintaining some connection with visual culture agrees

that aesthetic vision should be developed from the childhood. For teenagers it is especially efficient to work in such studios, because they are so keen to see the results of their work, which gives them additional motivation to study art.

- **How many pupils do you have in your studio now? Are there any age limitations?**

- At the time being we have 14 students. The youngest is 12 years old and the oldest is 15. In the autumn we plan to expand the studio and form a separate group for university students. A different program will need to be developed for them.

- **What teaching methods do you apply now?**

- Our lessons incorporate theory and practice. We take a culture, study its development, artistic features and their underlying reasons (including geography, economics and history). Further on, to maximally expand this knowledge, the students make thematic articles, using different handcraft techniques like papier mache, collage, modeling, painting, etc. In the autumn we will probably set more complex goals, which will make the process more challenging. For instance, we plan to introduce theater stage design and book illustration.

- **This means that the future exhibitions will be even more interesting?**

- I hope so and look forward to it.



ფერწერული ხედვა

ახატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში „ფიროსმანი“, ახლახანს, მხატვარ გიორგი მარკოზაშვილის პერსონალური გამოფენა შედგა. ექსპოზიციას მხატვრის ფერწერული ტილოები ქმნიდნენ.

გიორგი მარკოზაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

გამოფენები: პერსონალური და ერთობლივი


1971 წლიდან მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში. არის სხვადასხვა ხარისხის პრემიების მფლობელი. გია მარკოზაშვილის ნამუშევრები დაცულია მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, მოსკოვის აღმოსავლეთის მუზეუმში, სანქტ-პეტერბურგის რუსულ მუზეუმში, ბულგარეთის ქ. პლევენის ნაციონალურ გალერეაში, აგრეთვე საფრანგეთის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, აშშ-ს, გერმანიის, იაპონიის, რუსეთის, ლიტვის, ბულგარეთის, ისრაელის, იტალიის, პორტუგალიის, საბერძნეთის, უკრაინის, პოლანდიის, შვეიცარიის,

1990 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის წოდება.

მისი ნახატების აღქმისას უცნაური გრძობა ეუფლება მნახველს – ნამუშევრები სდუმან, მაგრამ სულაც არ არიან ჩუმად - ნახატების „ხმაურითა“ სივრცე სავსე. თანამედროვეობა და დღევანდელი ტკივილი იგრძნობა ნატურმორტშიც კი და ამის გამომატველი ნიშანი შესაძლოა უბრალოდ ფერი, ტონი ან განწყობა იყოს.

მხატვრის ნამუშევრებში ფერწერული ხედვა თვითმყოფადი ორიგინალურობით აირეკლება. იგი ხელის ერთი მოსმით, მხოლოდ რამდენიმე, თითქოს უმნიშვნელო დეტალის დამატებით ახერხებს სრულყოფილების მიღწევას. ნამუშევრები გამოირჩევა საინტერესო, ორიგინალური გადწყვეტით, დახვეწილი გემოვნებით და თვითმყოფადობით. ისინი კომპოზიციურად დასრულებულ უზადო ქმნილებებად წარმოჩნდებიან.

ნინო ლაღიძე



Artistic Vision

Exhibition Hall "Pirosmani" at the Union of Artists of Georgia recently hosted personal exhibition of painter Giorgi Markozashvili.

Giorgi Markozashvili graduated from Tbilisi State Academy of Arts. Since 1971 he took part in numerous local, national and international exhibitions and won several awards and prizes. Gia Markozashvili's works are stored in the Tretyakov Gallery (Moscow, Russia), Oriental Museum (Moscow, Russia), the Russian Museum (St. Petersburg, Russia), Pleven National Gallery (Bulgaria) as well as in private collections in France,





England, Czech Republic, Hungary, Poland, USA, Germany, Japan, Russia, Lithuania, Bulgaria, Israel, Italy, Portugal, Greece, Ukraine, Holland, Switzerland, etc.

In 1990 Gia Markozashvili was awarded the title of Honored Artist.

His paintings evoke a strange feeling - the canvas is silent, but images on it are not. Eloquent, meaningful silence of Gia's paintings tells about life and its sufferings - even in a still-life you might hear a sigh of sadness - and he achieves this with the help of very simple means, like color accents, overtones, conveying the mood.

Gia's paintings reflect his artistic vision in a unique way. By adding several seemingly unimportant details he manages to achieve perfection. His works present interesting, original solutions, refined taste and integral, flawless composition.

NINO LAGHIDZE



მშვენიერის მეტაფიზიკა



თეიმურაზ დვალიშვილი დაიბადა 17.10.1950, თბილისში. 1975-1980 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. 1988 წლიდან არის მხატვართა კავშირის წევრი. 1972 წლიდან - საქართველოს ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა კავშირის წევრი.

პერსონალური გამოფენა: 1975-1982 თბილისი, საქართველო.

1971 წლიდან დღემდე სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ საგაზაფხულო-საშემოდგომო და თემატურ გამოფენებში. აგრეთვე საკავშირო და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებში.

ნამუშევრები დაცულია: ფიროსმანის მუზეუმი, მიჩაძანი, საქართველო.


საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეროვნული გალერეა, თბილისი.

საქართველოს სამხატვრო ფონდი, თბილისი.

მხატვარ თეიმურაზ დვალიშვილის მიერ შექმნილი ფერწერა მეტად შთაბეჭდავი და თვითმყოფადია. ფერისა თუ თემატიკის წარმოჩენა მოულოდნელია. მოულოდნელია თავად კომპოზიციები - მასალის მეტამორფოზის მშვენიერებაში სიძველის მრუშე მითები ინაკვებება. მშვენიერის მეტაფიზიკა, მხოლოდ ესთეტიკურის აღქმით არ შემოიფარგლება. იგი მრავალმხრივ რთული და უსაზღვროა. იდეალური ფორმის ძიებისას, ყოველივე მოაზრებულ მატერიალად გარდაქმნება და შინაგან სულიერებას პასუხობს.



თიბათვე ტ.ზ. 92X91. 2004 წ
tibatve (june) o.c.



მეომარი ტ.ზ. კოლაჟი 100X100 2004 წ.
warrior o.c. collage

Metaphysics of the Beautiful

Teimuraz Dvalishvili was born on October 17 1950 in Tbilisi. In 1975-1980 Teimuraz studied in Tbilisi State Academy of Arts. In 1988 he became member of the Union of Artists of USSR. Since 1972 Teimuraz Dvalishvili had been member of the Union of Young Artists and Art Historians of Georgia.

In 1975-1982, Teimuraz Dvalishvili regularly arranged personal exhibitions in Tbilisi.


Starting with 1971 he systematically participates in national spring / autumn and thematic exhibitions, as well as regional and international exhibitions.

Teimuraz Dvalishvili's works are stored in Pirosmani Museum (Mirzaani, Georgia), in the National Museum of Georgia (National Gallery, Tbilisi), Georgian Art Fund (Tbilisi).


Highly impressive and original art, created by Teimuraz Dvalishvili, features unexpected themes, unexpected colors, compositions, complex and versatile choice of materials. Yearning for perfection transforms his every move and expresses the rich world of the artist's soul.



ყვავილების თაიგული ტ.ზ. 100X80 2004 წ
Bunch of flowers. o.c. collage



შემოდგომის ცივი დღე ტ.ზ.94X78 2004 წ
Autumn's cold day o.c.



დილა ტ.ზ. 100X86 2004 წ
morning o.c.



**ფოტო-ვიდეო
გადაღება**

**E-mail: giorgi-dzotsenidze@mail.ru
T: 555 42-48-27**

